ხულოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის 29 ივლისს გაფორმებულ №162 ხელშეკრულების

**შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა**

22 იანვარი 2018 წელი

დაბა ხულო

ერთის მხრივ ხულოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მერის გოჩა მელაძის სახით და მეორეს მხვრივ შპს „B&B" (შემდგომში–მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის ბერდია ბანძელაძის სახით, ვდებთ შეთანხმებას მხარეთა შორის 2016 წლის 29 ივლისს №162 ხელშეკრულებაში (მთა საჯოგიადან ნეგოიანში სასმელი წყლის მიყვანის სამუშაოები) ცვლილებების შეტანის შესახებ:

ცვლილების საფუძველი: ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 20 ნოემბრის N940 ბრძანებით შექმნილი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისა და ანგარიშსწორების კომისიისა და ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფის" 2018 წლის 17 იანვრის სხდომის №1 ოქმი თანდართული მასალებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შევიდეს ცვლილება ხელშეკრულების მე-4 და მე-9 მუხლებში და დაემატოს 4.13 და 9.9 პუნქტები, შეიცვალოს ხელშეკრულების მე-6 მუხლის „ვ" პუნქტი, მე-14 მუხლის „14.2" და მე-16 მუხლის „16.1" პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**4.13** წყალსადენის მაგისტრალზე მომწოდებელმა ჰიდრავლიკური გამოცდა განახორციელოს სამუშაოების განხორციელებისათვის შესაბამისი მეტეროლოგიური პირობების დადგომის შემდგომ, მუნიციპალიტეტის წერილობითი მიმართვიდან, გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში. ასევე საჭიროებიდან გამომდინარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მილის საყრდენების მოწყობის სამუშაოები განხორციელდეს მხარეების შემდგომი შეთანხმების საფუძველზე.

ვ) დაკავებული თანხის 2,5%-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ლითონის მილების ჰიდრავლიკური გამოცდის დადებითი დასკვნის შემდგომ, ხოლო საბოლოოდ 2,5%-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს შესაბაისად საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 1 წლის შემდეგ, რაც ტექნიკური ზედამხედველი დაამოწმებს, რომ მის მიერ ყველა მითითებული დეფექტი აღმოფხვრილია მიმწოდებლის მხრიდან ან დაკავებული თანხის მეორე ნახევარი მიმწოდებელს მიეცემა სამუშაოს მთლიანად დასრულების შემდეგ შესაბამისი საბანკო გარანტიის (გაცემული მხოლოდ ბანკის მიერ) წარდგენის საფუძველზე.

9.9 იმ შემთხვევაში თუ მეწარმე შეთანხმებით გათვალისწინებულ სამუშაოებს არ განახორციელებს 4,13 პუნქტის შესაბამისად არაუგვიანეს 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში, ამოქმედდეს 2016 წლის 29 ივლისის #162 ხელშეკრულების 9,4 პუნქტის მოთხოვნები პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. აგრეთვე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვროს ხელშეკრულების მე-9 მუხლის პირობების შესაბამისად.

14.2 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია სს „პროკრედიტ ბანკი"-ს მიერ 2016 წლის 22 ივლისს გაცემული №1538978 ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია თანხით 21821.00 (ოცდაერთი ათას რვაასოცდაერთი) ლარი, რომლის მოქმედების ვადაა 2018 წლის 24 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი, (საბანკო გარანტიის №1538978 მოქმედების ვადის გაგრძელებაზე მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია 2018 წლის 04 იანვარს სს „პროკრედიტ ბანკი"-ს მიერ გაცემული საბანკო გარანტია).

16.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 დეკემბრამდე, გარდა ხელშეკრულების მე-6 მუხლის ,,ე" ,,ვ" ,,ზ" პუნქტების და მე-7 მუხლისა.

ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც მთლიანი ხელშეკრულების მიმართ.

შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების დანართს და არის მისი განუყოფელი ნაწილი.

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ხულოს მუნიციპალიტეტი

მის.: დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1

ს/კ 248 056 311;

ხაზინის ერტიანი ანგარიში

ანგ. №GE24NB0330100200165022

ბ/კ: TRESGE22

ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

გოჩა მელაძე

„მიმწოდებელი"

შპს ,,B&B"

მის: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახ. N33ა

ს/კ 404390039

ს.ს. ,,პროკრედიტ ბანკი",

ანგ. № GE16PC0053600100021498

ბ/კ: MIBGGE22

შპს ,,B&B"-ის

დირექტორი ბერდია ბანძელაძე

ხულოს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ნოემბრის N940 ბრძანებით შექმნილი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისა და ანგარიშსწორების კომისიისა და ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფის“ სხდომის

*ოქმი №1*

17 იანვარი 2018 წელი

დაბა ხულო

სხდომას თავმჯდომარეობდა: მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ზაზა აბულაძე

სხდომას ესწრებოდა: ხულოს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ნოემბრის N940 ბრძანებით შექმნილი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისა და ანგარიშსწორების კომისიისა და ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფის“, კომისიის წევრები: ირაკლი ხაჯიშვილი, მალხაზ სურმანიძე, გიორგი რიჟვაძე.

დღის წესრიგი:

1. 2017 წლის 29 დეკემბრის N125 ოქმის კორექტირების მთა საჯოგიადან ნეგოიანში სასმელი წყლის მიყვანის სამუშაოებთან დაკავშირებით ხელშეკრულებაში შესაძლო ცვლილების განხორციელების შესახებ.
- მომხსენებელი - ზაზა აბულაძე – მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

მოისმინეს:

1.მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ზაზა აბულაძის ინფორმაცია, რომ პრიორიტეტული პროგრამით გათვალისწინებულ მთა საჯოგიადან ნეგოიანში სასმელი წყლის მიყვანის სამუშაოებს მუნიციპალიტეტთან გაფორმებული 2016 წლის 29 ივლისის №162 ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს შპს ,,B&B“. შესასრულებელი სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს **872 811 ლარს (რვაას სამოცდათორმეტი ათას რვაას თერთმეტი ლარი)**. მეწარმე 2017 წლის 10 ნოემბრის N10341/09 წერილით აფიქსირებს, რომ მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულია და ითხოვს შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას. აღნიშნულის შემდგომ ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფის მიერ ადგილზე გასვლით შემოწმებული იქნა მაგისტრალი, რის შედეგადაც წარმოდგენილია შემოწმების (N4279-09. 20/11/2017) აქტი, რომლითაც ობიექტზე სათავე ნაგებობიდან სრულად შემოწმებულია ხაზობრივი ნაგებობა და გამოვლენილია რიგი ხარვეზები, რისი აღმოფხვრის მიზნითაც ეცნობა მეწარმეს. მეწარმემ დამატებით გვაცნობა, რომ გამოვლენილი ხარვეზები მის მიერ აღმოფხვრილია და მოითხოვდა ობიექტის მიღებას. დიდთოვლობის გამო (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მ/წლის 21 დეკემბრის ცნობა ნალექის არსებობის შესახებ) აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ სამშენებლო ტერიტორია მდებარეობს ზღვის დონიდან 1600-1800 მეტრზე შესაბამისად აღნიშნული პერიოდისათვის ობიექტზე ფიქსირდებოდა უხვი ნალექი თოვლის სახით, რომლის სიმაღლე 1,5-2 მეტრს აჭარბებს და შესაბამისად ვერ მოხერხდებოდა ობიექტის ლითონის მილების ჰიდრავლიკური გამოცდა. ამასთან ერთად წყალსადენის მაგისტრალზე შესაძლოა გამოიკვეთოს ისეთი ადგილები, სადაც შესაძლოა საჭირო გახდეს საყრდენების მოწყობა, რის შესახებაც ეცნობა პროექტის ავტორს და 2017 წლის 14 დეკემბრის N29 წერილით ის განმარტავს, რომ პროექტში გათვალისწინებული არ იყო მილის

საყრდენების მოწყობა და თუ კი საჭიროება მოითხოვს, აღნიშნული სამუშაოების განხორციელებას შესაძლებელია მოეწყოს დ=219მმ ფოლადის მილის საყრდენებით. მიმდინარე წლის 28 დეკემბრის შპს B&B-ის დირექტორი N11720/09 წერილით გამოთქვამს მზადყოფნას შეასრულოს დიდთოვლობის გამო შეუმოწმებელი მილების ჰიდრავლიკური გამოცდა შესაბამისი პირობების დადგომისთანავე და საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს დამატებით მილებისათვის საყრდენების მოწყობის სამუშაოები შეთანხმების საფუძველზე, რომელიც პროექტით არ იყო გათვალისწინებული. საკითხზე იმსჯელა ხულოს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ნოემბრის N940 ბრძანებით შექმნილი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისა და ანგარიშსწორების კომისიამ რომლებსაც მიზანშეწონილად მიაჩნიათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2016 წლის 29 ივლისის N162 ხელშეკრულების მოქმედების ვადა გადაეწიოს 2018 წლის 30 დეკემბრამდე, გამომდინარე იქედან, რომ განხორციელდეს ლითონის მილების ჰდრავლიკური გამოცდა პირველივე შესაძლებლობისთანავე. ასევე მეწარმეს არ აუნაზღაურდეს ხელშეკრულების მე-6 მუხლის ,,ე" ქვეპუნქტის შესაბამისად ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს 5%. დაკავებული თანხის 2,5%-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ლითონის მილების ჰდრავლიკური გამოცდის ჩატარების შემდგომ, ხოლო საბოლოოდ 2,5%-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 1 წლის შემდეგ. გარდა ამისა საჭიროების შემთხვევაში, იმ მილის საყრდენების მოწყობის სამუშაოები, რომელიც არ იყო გათვალისწინებული პროექტის შესაბამისად, შემსყიდველის მოთხოვნისამებრ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეზერვის ხარჯზე მეწარმემ განახორციელოს, მხარეთა შორის შემდგომი შეთანხმების საფუძველზე. ასევე მეწარმემ წარმოადგინოს შეთანხმების გაფორმებამდე ვადაგაგრძელებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომელიც 60 დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების ვადას. წინააღმდეგ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერია იტოვებს უფლებამოსილებას იმოქმედოს შეთანხმების გაფორმებამდე არსებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, აამოქმედოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია.

კომისიამ ასევე იმსჯელა მეწარმის მ/წლის 28 დეკემბრის N11720/09 წერილის იმ ნაწილზე, რომლითაც მოთხოვნილია მ/წლის 22 ნოემბრიდან პირგასამტეხლოების დარიცხვის შეჩერება. კომისია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მიმდინარე ეტაპისათვის სამუშაოები ფაქტიურად დასრულებულია თუ არ ჩავთვლით დიდთოვლობის გამო მილების ჰიდრავლიკური გამოცდის ჩატარებას ჰერმეტიულობაზე და გამომდინარე იქედან რომ სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთნხმებით განსაზღვრული თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობისათვის და მისი მიზანია მოვალეს დაეკისროს ერთგვარი სანქცია ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და ვინაიდან მიმდინარე ეტაპისათვის ფაქტიურად სამუშაოები დასრულებულია კომისია თვლის, რომ პირგასამტეხლოების დარიცხვა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აზრს მოკლებულია ჰიდრავლიკური გამოცდის შესაძლო უარყოფითი დასკვნის დაფიქსირებამდე.

**წარმოდგენილი დოკუმენტაცია:**

- ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფის მ/წლის 25 დეკემბრის N4702-09 მოხსენებითი ბარათი
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მ/წლის 21 დეკემბრის ცნობა ნალექის შესახებ
- შპს ,,წყალმშენი 2013"-ს მ/წლის 14 დეკემბრის N11254/09 განცხადება
- შპს B&B დირექტორის ბერდია ბანძელაძის 28.12.2017 წლის N11720/09 წერილი
- ხელშეკრულების ქსეროასლი
- მ/წლის 07 ივლისის შეთანხმება
- მ/წლის 07 ნოემბრის შეთანხმება

**გადაწყვიტეს:**

- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისა და საბოლოო ანგარიშსწორების კომისიამ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე, მთა საჯოგიადან ნეგოიანში სასმელი წყლის მიყვანის სამუშაოებთან დაკავშირებით, გადაწყვიტა:

- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2016 წლის 29 ივლისის N162 ხელშეკრულების მოქმედების ვადა გადაიწიოს 2018 წლის 30 დეკემბრამდე;
- მეწარმეს არ აუნაზღაურდეს ხელშეკრულების მე-6 მუხლის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს 5%. შევიდეს ცვლილება „ვ" ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, დაკავებული თანხის 2,5%-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ლითონის მილების ჰდრავლიკური გამოცდის დადებითი დასკვნის შემდგომ, ხოლო საბოლოოდ 2,5%-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს შესაბაისად საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 1 წლის შემდეგ, რაც ტექნიკური ზედამხედველი დაამოწმებს, რომ მის მიერ ყველა მითითებული დეფექტი აღმოფხვრილია მიმწოდებლის მხრიდან ან დაკავებული თანხის მეორე ნახევარი მიმწოდებელს მიეცემა სამუშაოს მთლიანად დასრულების შემდეგ შესაბამისი საბანკო გარანტიის (გაცემული მხოლოდ ბანკის მიერ) წარდგენის საფუძველზე.
- მოქმედ ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილება და მე-4 მუხლის სამუშაოს შესრულების პირობებს დაემატოს 4,13 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, სამუშაოების განხორციელებისათვის, წყალსადენის მაგისტრალზე მომწოდებელმა ჰიდრავლიკური გამოცდა განახორციელოს სამუშაოების განხორციელებისათვის შესაბამისი მეტეროლოგიური პირობების დადგომის შემდგომ, მუნიციპალიტეტის წერილობითი მიმართვიდან, გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში. ასევე საჭიროებიდან გამომდინარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მილის საყრდენების მოწყობის სამუშაოები განხორციელდეს მხარეების შემდგომი შეთანხმების საფუძველზე.
- მეწარმემ შეთანხმების გაფორმებისათვის წარმოადგინოს ვადაგაგძელებული საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა სამუშაოების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 60 კალენდარული დღით. საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერია იტოვებს უფლებამოსილებას იმოქმედოს შეთანხმების გაფორმებამდე არსებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ხელხელშეკრულების მე-9 მუხლს დაემატოს 9,9 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, იმ შემთხვევაში თუ მეწარმე შეთანხმებით გათვალისწინებულ სამუშაოებს ვერ განახორციელებს 4,13 პუნქტის შესაბამისად არაუგვიანეს 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში, ამოქმედდეს არსებული ხელშეკრულების 9,4 პუნქტის მოთხოვნები პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. აგრეთვე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვროს ხელშეკრულების მე-9 მუხლის პირობების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სხდომის თავმჯდომარემ (ზაზა აბულაძე) საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე 4**

**წინააღმდეგი 0**

კომისიის თავმჯდომარე ზაზა აბულაძე

კომისიის წევრები მალხაზ სურმანიძე

ირაკლი ხაჯიშვილი

გიორგი რიჟვაძე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

04.01.2018

ProCredit Bank, 21 Al. Kazbegi Ave., 0160 Tbilisi, Georgia
პროკრედიტ ბანკი, ალ. ყაზბეგის გამზ. 21, 0160 თბილისი

**სათავო ოფისი**
საკორესპონდენტო ურთიერთობის ქვეგანყოფილება

ავტორი : ქეთევან ჯალაღანია
ტელეფონი : +995 32 2202222 (შიდა 1291)
ფაქსი : +995 32 2202223
ელ-ფოსტა : k.jalagania@procreditbank.ge

თარიღი : 04.01.2018

**ბენეფიციარი:**

**ხულოს მუნიციპალიტეტი**
**(ს/კ 248056311)**

აბუსერიძე ტბელის ქ. №1
ხულო, საქართველო

## საბანკო გარანტიის №1538978 მოქმედების ვადის გაგრძელება

გაცნობებთ, რომ 2016 წლის 22 ივლისს ჩვენს მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიაში **№1538978**, თანხით **21,821.00 (ოცდაერთი ათას რვაასოცდაერთი) ლარი**, მოქმედების ვადით 2018 წლის 22 იანვრის ჩათვლით (ცვლილება №1621517), პრინციპალის **შპს „B&B"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი: **404390039**) დავალებით შევიდა შემდეგი ცვლილება:

საბანკო გარანტია მოქმედებს **2018 წლის 24 სექტემბრის** ჩათვლით.

აღნიშნული გარანტიის ყველა დანარჩენი პირობა რჩება უცვლელი.

პატივისცემით,

**ს.ს "პროკრედიტ ბანკი", საქართველო**

| ნიკა შალამბერიძე | თეიმურაზ მანჯგალაძე | ქეთევან ჯალაღანია |
| --- | --- | --- |
| *საკრედიტო რისკების სპეციალისტი* | *საკრედიტო რისკების სპეციალისტი* | *დოკუმენტური ბიზნესის კოორდინატორი* |

16247718